სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 1/76 -2015

ქ. თბილისი

„27“ აპრილი 2015 წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები
ერთი მხრივ,
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (იურიდიული მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლება(აეროპორტი); ს.კ N404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის პირველი მოადგილის თეიმურაზ ჩხაიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი“)
და მეორე მხრივ,
შპს „კომტექსი“ (მისამართი: ქ. თბილისი, ლაღიძის მე-3 შეს. №11, ს.კ 204 428 244) მისი დირექტორის გიორგი მჭედლიშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“),

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ საჭიროებისათვის ბუღალტრულ პროგრამა 1C-ს 7,7 ვერსიის გამართვა/განახლების მომსახურების შესყიდვა (CPV - 72200000). მომსახურების დეტალური აღწერა მოცემულია დანართში, რომელიც თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში შედის მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები (მათ შორის დღგ), რომელიც უნდა გადაიხადოს „მიმწოდებელმა“.

3. **მომსახურების გაწევის პირობები**

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ადმინისტრაციული შენობა.
3.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის მომზადება პროგრამაში სამუშაოდ.
3.3. „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე, გამოვლენილი დეფექტებისა და უზუსტობების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

5. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება „მიღება-ჩაბარების“ აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.4. „მიღება-ჩაბარების“ აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

6.1.2. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას 2015 წლის 31 დეკემბრამდე პროგრამაში გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრას, რომლებიც ჩამოთვლილია დანართ №1 საკუთარი ხარჯებით;

6.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.1.6. უზრუნველყოს შემსყიდველისთვის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის მიწოდება ასეთის არსებობის შემთხვევაში;

6.1.7. განხორციელებული მომსახურების დადგენილ სტანდარტებთან და ხარისხთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

6.1.8. მიმწოდებელი ვალდებულია გაწეულ მომსახურებაზე გამოვლენილი ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

6.1.9. მიმწოდებელს შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ აქვს უფლება გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლება-მოვალეობები მესამე პირს.

6.1.10. მიმწოდებელი ვალდებულია პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა ხელშეკრულების შესაბამისად.

6.2.2. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება და აღნიშნული შეფერხება არ არის გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებით, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.2. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან შეფერხების სხვაგვარად აღმოფხვრის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები ხუთი დღის ვადაში ვერ შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან შეფერხების სხვაგვარად აღმოფხვრის თაობაზე ხუთი დღის გასვლისთანავე მიმწოდებელს ეკისრება ხელშეკრულების გათვალისწინებული პირგასამტეხლო

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან და ასეთი დარღვევა არ გამოიწვევს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამოყენებას ან დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებებია: მიწისძვრა; წყალდიდობა; ხანძარი; ქარიშხალი; დიდთოვლობა; ნისლი; ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებები; ცენტრალური ენერგო მომარაგების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) და ცენტრალური წყალმომარაგების შეწყვეტა მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზით; სამხედრო მოქმედებები; ეპიდემიები; გაფიცვები; სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებები ან მათი არარსებობა; ბლოკადა; ემბარგო; საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

9.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებზეც გავლენას არ ახდენენ ფორს–მაჟორული გარემოებები.

9.4. თუ ფორს-მაჟორული გარემობა გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. პირგასამტეხლოს გარდა მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

11.1.1 ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

11.1.2 მხარეთა შეთანხმებით;

11.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2 ხელშეკრულება შემსყიდველის მიერ ცალმხირვად შეიძლება იქნას შეწყვეტილი თუ:

11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2.2 მიმწოდებელი სისტემატურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.2.3 შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების (იგულისხმება ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა) გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულად შესრულებას;

11.2.4 მიმწოდებლის მიმართ აღძრულია საქმე გადახდისუუნარობის საფუძველზე;

11.2.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სხვა შემთხვევები.

12. ინსპექტირების პირობები

12.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს უფროსი ბუღალტერი/მთავარი ბუღალტერის მოადგილე ზეინაბ მშვილდაძე და ლოჯისტიკისა და მონიტორინგის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

12.1.1. კოორდინატორის ფუნქციებია:

12.2. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

12.3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა.

13. ხელშეკრულების ვადა

13.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა.

14. დავების გადაწყვეტა

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.2. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

14.3. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად ერთი შემსყიდველისთვის, ხოლო ერთი - მიმწოდებლისათვის. ყველა ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

16. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" **მისამართი:** ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტის დასახლება, აეროპორტი **ს.კ** № 404 389 693 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკი", **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ა/ა:** GE47TB0615536070100001 GEL --- თეიმურაზ ჩხაიძე დირექტორის პირველი მოადგილე	**შპს „კომტექსი"** **მისამართი:** ქ. თბილისი, ლაღიძის მე-3 შეს. №11, **ს.კ** № 204 428 244 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკი", **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ა/ა:** GE41TB0600000025467849/ GEL --- გიორგი მჭედლიშვილი დირექტორი

მომსახურების დეტალური აღწერა

1) პროგრამაში გათიშული ფუნქციების ჩართვა და პერსონალის გადამზადება
   - ყველა ტიპის დოკუმენტების გატარება;
   - ყველა ტიპის ოპერაციების გატარება;
   - დოკუმენტებში არსებული საბეჭდი ფორმების ამოღება;
   - ბუღალტრული რეპორტები;
   - ძირითადი საშუალებების და საქონლის აღრიცხვა;
   - ძირითადი საშუალებების და საქონლის მოძრაობის უწყისების მიღება დამატებითი ინფორმაციების გათვალისწინებით;
   - პროგრამაში არსებული მმართველობითი რეპორტები.
2) პროგრამაში შეყვანილი მონაცემების გადამოწმება და ხარვეზების გასწორება 2009 წლიდან დღეის მდგომარეობით.
   - სალარო;
   - ბანკი;
   - შესყიდვები;
   - რეალიზაცია;
   - ძირითადი საშუალებები და რამატერიალური აქტივები.
3) ხელფასების მოდულების პროგრამული განახლება
   - ხელფასის დარიცხვა რეგიონების, ქვედანაყოფების და თანამშრომლების მიხედვით;
   - ხელფასის გაცემა (ვარიანტები: სალაროდან, ბანკიდან);
   - თითოეულ თანამშრომელზე სახელფასო ამონაწერი;
   - ყოველთვიურად საგადასახადოში წარსადგენი ფიზიკურ პირებზე განაცემების ფორმა.
4) ხელფასების მოდულის გაშვება
   - პერსონალის მომზადება.

შეყვანილი მონაცემების კონტროლი და ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში გამოსწორება

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	შპს „კომტექსი"
----------	----------
თეიმურაზ ჩხაიძე დირექტორის პირველი მოადგილე	გიორგი მჭედლიშვილი დირექტორი